წელ. პირველი — კვირა 4 ივნისი, 1906 წ. — № 10

ჯვარი ვაზისა

გამოდის ყოველ კვირას
ღირს 3 მ. წ. ც. № 10 კაპ.

რედაქცია „ჯვარი ვაზისა“
კათოლიკების ქუჩა № 4

შინაარსი

საქართველოს გოდება. — ვარდის ფენობა. — ქართველ კათოლიკეთათვის ეპარქიის გახსნა საქართველოში, ქ. თბილისში. — გაბრიელ ეპისკოპოსის მიწერ-მოწერა. — საზოგადო მიმოხილვა. — ძველი სასულიერო მწერლები (იამბიკონი). — საქართველოს სამღვდელოება და რუსის ეგზარხოსები. ჯავახეთი (ეთნოგრაფიული წერილი).

საქართველოს გოდება

ამ სათაურით „ნაროდნი ვესტნიკის“ მე-11 №-ში მოთავსებულია მეთაური წერილი საქართველოს აკლების შესახებ. ამავე ნომერში დაბეჭდილა კორესპოდენცია ამ სათაურით „საქართველოს ახრება“. მოკლედ, მაგრამ მეტად ნათლად აწერილია ყოველივე ის სისაძაგლე და ბარბაროსობა, რომელმაც მიწასთან გაასწორა ჩვენი ქვეყანა. აქვე ვბეჭდავთ სავსებით მეთაურ წერილს.

„ქვევით ჩვენ ვბეჭდავთ წერილს „საქართველოს ახრება“-ს. რა შეგვიძლიან ვსთქვათ ამ წერილში მოხსენებულ ფაქტების შესახებ, რა უნდა ვთქვათ ისეთი, რაც არა თქმულა უკვე? საქართველოს, რომელიც ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს ავტონომიურ საფუძველზე, სძარცვავდნენ, სჩაგრავდნენ, ამცირებდნენ ისე როგორც შეუძლიან ძარცვა, ჩაგვრა და დამცირება მხოლოდ რუსის „ჩინოვნიკებს“. ქართველების დედა-ენა განდევნილ იქმნა არა მარტო სასკოლო და სამოსამართლო დაწესებულებათაგან, არამედ ეკლესიიდანაც კი, ქართველ გლეხებს ხელიდან აცლიდნენ სამშობლო მიწებს, რომ მიეცათ შიდა რუსე-

თიდან გადმოსახლებულთათვის; გადასახადებს და ხარჯების საზღვარი არა ჰქონდა. აუტანელ დევნისაგან საქართველოში დაიწყო იმგვარივე მოძრაობა, როგორც მთელ რუსეთში, და იქ გაგზავნილ იქმნენ დამამშვიდებელნი ალიხანოვი, ტიმოფეევი, ბაუერი და სხვ. ნაკლებად ცნობილი, მაგრამ არა ნაკლები მოძალადენი. რაც მოხდა ამის შემდეგ, დავიწყება არ შეიძლება. თოფებით ხვრეტავდნენ უიარაღო ხალხს; ხმლებით ჩეხავდნენ შვიდი წლის გიმნაზიელბას. აოხრებინეს და გადააწვეტინეს სოფლები და მთელი მაზრები; არტილერიით დააქციეს სახლები, გადასწვეს ქალაქები, დაბები და რკინის გზის სადგურები; მომხდარა ისიც, რომ ცეცხლ წაკიდებულ სახლებში გამომწვარან ცოცხალი ადამიანები; დასასრულ რაც უსაზიზღრესი და უსაშინელესი დანაშაულობაა, რის შემწეობითაც მთავრობას სურს მხეცობა შეარჩინოს რუსის სალდათს, — აუპატიურებდნენ ქალებს. აშკარად და დაუსჯელად ხდიდნენ ნამუსს მცირეწლოვან ქალიშვილებს და გათხოვილ ქალებს, ჯანმთელებს და ავადმყოფებს; არ დაინდეს მშობიარე ქალიც კი; ქართველი ქალები იხჩობოდნენ იმათ ხვევნაში და იყო შემთხვევა, რომ კიდევაც სული დალიეს.

რა პასუხი უნდა მივცეთ თავისუფლების მოყვარულ და მამაც ხალხის გოდებას! ჩვენ შეგვიძლიან ვუთხრათ, რომ მარტო ის ერთი არ არის ტანჯული, მარტო ის არ არის განრისხებული. საქართველოდან მოსული ამბები თავზარ-დამცემია. მაგრამ უფრო საშინელი ის არის, რომ ამ ამბებში ახალი არა არის-რა. რაც საქართველოში ხდებოდა, იმის მსგავსი არაფერი მომხდარა, არაფერი გაგონილა არსად მთელ დედამიწაზედ... გარდა რუსეთისა, იმავე. მხეცობას, იმავე ძალმომრეობას ხმარობდნენ რუსის ადმინისტრაცია და იმის ხელქვეითი ჯარი ლატიშებისა და ესტების წინააღმდეგ, — ბალტიის მხარეში, ებრაელების წინააღმდეგ მათის ბინადრობის საზღვრებში და გარედაც. აგრეთვე სდევნიდნენ ძველის რეჟიმის მსახურნი სომხებსაც და განა არ სძარცვავდნენ, არ სწვავდნენ ველიკოროსების სახლებსა და სოფლებს. არ აუპატიურებდნენ ქალებს, არ სცემდნენ სასიკვდილოდ, არ ესროდნენ თოფებს უიარაღოებს? თუ შიდა რუსეთი მთლად არ არის გადამწვარი, ამისი მიზეზი არ არის, რასაკვირველია, მთავრობის სიყვარული მშრომელ ხალხისა და ქვეყნისადმი. ისინი ვინც ზევიდან განაგებენ მრავალ ხალხის ბედ-იღბალს, თუ ყოველთვის თავისუფალნი არ არიან ეროვნულ ცრუ მორწმუნოებისაგან, სრულიად თავისუფალნი არიან სიყვარულისა და თანაგრძნობისაგან. მათთვის არსებობენ მორჩილი და არა-მორჩილი მონები... თუ შიდა რუსეთში სისხლი ისე უხვად არ არის დაქცეული და ცეცხლი ისე ხშირად არ ანადგურებს სოფლებსა და ქალაქებს, ეს იმიტომ, რომ შიდა რუსეთი დიდია და მთავრობას ძალა არა ჰყოფნის.

მთელ რუსეთს კიდით-კიდემდე უხვად მოჰფინა მთავრობამ სიძულვილის თესლი. ამ საერთო გრძნობით, ამ საერთო სიძულვილით შეერთებულმა რუსეთის ერებმა უკეთ გაიცნეს ერთმანეთი, უფრო თანაუგრძნობენ ერთმანეთს და ეს არის თავმდები იმისა, რომ შურისძიების საათი მოახლოვებულია.

დეე, მშვენიერმა საქართველომ, თუ შეუძლიან ამით მაინც ინუგეშოს თავი. რაც შეხება ძალას და სიმამაცეს ბრძოლის ბოლომდე განსაგრძობად, არც ერთი და არც მეორე ქართველ ხალხს არ აკლია" („შრომა").

ვარდის ფენობა

(ყოვლად წმიდა ზიარების დღე)

კათოლიკეთა დღესასწაული ვარდის ფენობა არის ერთი უწმიდესი და უმთავრესი დღესასწაულთაგანი. რადგან ეს წმინდა დღესასწაული გვაგონებს და გვათაყვანებს დიდსა და უპირველესს საიდუმლოებასა. განვიხსენოთ მოკლეთ I მისი განწესების ისტორია, II ეკკლესიის აღსასრული მისი განწესებისათვის და III თუ რა ღრმა და წმინდა გრძნობით უნდა ვდღესასწაულებდეთ ამ დღეს.

ისტორია. ნეტარელმა იულიანე მოლოზანმა ლიეჟის ქალაქისამ პირველად მოითხოვა, რომ ეს დღესასწაული განწესებულიყო კათოლიკე ეკკლესიაში, ივან ლოზანმა მოართვა სათხოვარი ურბანი IV პაპს 1258 წ. ამავე პაპმა

დაავალა წმიდა ბონავანთურას და წმიდა თომა აქვინელს, რომ შეედგინათ სადღესასწაულო სალმრთო მსახურებანი ლიტურგიანში მოსახმარებლად. კიდეც შეადგინეს და ეკკლესიაც მას ხმარობს ამ დღისათვის საგალობელთა და სხვა ლოცვათა. კლემენტო და ვენის კრებაზე 1311 წ. გამოაცხადა და დაავალა, რომ მთელ კათოლიკეთა ედღესასწაულათ ყველგან 1 ყოველწლივ.



წმიდა ზიარების საიდუმლოს გაწესება.

იმავე დღეს თვითან დაესწრო პროცესიაზედ.

აღსასრული. ეკკლესისა იყო რომ 1 პატივი ეცა ყოვლად წმიდა საიდუმლოსათვის; მართალია ყოველ დღივ და დიდ ხუთშაბათს. პატივსა სცემს მორწმუნე ერი ამ წმინდა საიდუმლოს, მაგრამ ურბანო პაპმა მოისურვა, ერთი დღე წელიწადში საცალკეოდ ყოფილიყო აღნიშნული რომ მორწმუნე ერს საქვეყნოდ დიდის კრძალვით აველა-დიდებითი და პატივისცემით ედღესასწაულათ ყოვლად წმიდა საიდუმლო. 2 სამაგიერო პატივის გადასახდელად იმ შეურაცყოფათაგან, რომელიც მაცხოვარი იღებს ამ წმინდა საიდუმლოში ურწმუნო პირთაგან. 3 რათა მწვალებელთა დაეყოთ პირი და უმრავლესი ერთი მხოლოდ ბერანგეს შეცდომილების წინ აღსადგენად, რომელიც უარს ამბობდა იესო ქრისტეს აწმყოფობაზედ. მაშ ამ ძლიერ სარწმუნოებრივი გრძნობის გამომხატველი დიდებით დაიმტკიცოს ყველა შემცდარი

რომ ქრისტე ღმერთი ჩვენი მხსნელი იყო, არს და იქნება კაცთ მოყვარე, მას არა სურს სასჯელი ცოდვილთა, არამედ ცხოვრება მისი წმინდა ნების აღმასრულებლათა.

III თუ რა ღრმა და წმიდა გრძნობით უნდა ვდღესასწაულობდეთ ამ დღეს: 1 ღმერთი ჩვენთანაა, ჩვენ მასში ვიმყოფებით; სიხარული გლახაკთა. მას ეზიარების, ხელმწიფე, გლახაკი, დავარდნილი, ყმა და მწირი. სიხარული მდიდართა, სიქადული მართალთა, სიხარული ცოდვილთა, ნუგეშის ცემა შეწუხებულთა. მოვედით ჩემდა მაშვრალნო და ტვირთ-მძიმენო და მე განგისვენებ თქვენ.

2 რა მივაგო უფალსა ყოვლისათვის, რომელიც მომაგო მე? სასუმელი ცხოვრებისა მივილო და სახელსა უფლისასა ვხადო. იგი ჩვენთან იმყოფების, ჩვენ საზრდოთ გვეძლევა, მაშ მადლობა იესოს მხსნელსა კაცთ ნათესავისა.

3 სიყვარული თხოულობს სიყვარულსა, შეგვიძლია რომ რამე დაუშუროთ მაცხოვარს. აჰ! ყოველი ჩვენი გულის და სულის კვეთა იყოს მადლობის სიმთა ჟღერა და სიყვარულის საქმეთა აღსრულება.

ბარძიმი მადლისა და სიხარულისა.

ჯერ არს ქვანიც და სალი კლდენი შეიქმნენ, იცვალნინ გულად, შენდა შესაყვარებლად მაცხოვარო! ნუ მოიხსენიებ უსჯულოებათა ძმათა ჩვენთა, არამედ სახელსა შენსა ეც დიდება, ცოდვილთა, ლხინება ცოდვილთა გუ-გულთა ნათელი და ლხინება.

ჰოი პურო ცხოვრებისა,
რომ განაღებ ზეცის კარსა;
ჩვენს გარეშე არს მტრობა,
მოგვანიჭოს ჩვენ შეწევნა.

—

საუკუნო სამებასა
ეყავ მარადის დიდება,
რომელმან მოგვცეს ცხოვრება
ზეციერს მამულსა შინა.

ქართველ კათოლიკეთათვის ეპარქიის გახსნა საქართველოში, ქ. თფილისში *)

—

1307 წ. საქართველოში სარწმუნოების კერძოდ სრული თავისუფლება იყო და მი'ონერსაც ბევრი საშრომელი ჰქონდა, ის ეპისკოპოსი, მარტო თავისი წესის მონაზონებით ვერ აკმაყოფილებდა მისიონის მოთხოვნილებას. ამიტომ, როგორც ისტორია მოგვითხრობს, „იოანე ფლორენციელმა, თავისი წესის მონაზონების გარდა, მისიონის სამსახურში მოიშველია ეგრეთვე წმიდა ფრანჩისკეს წესის მონაზონები, რათა თუ ქართველები და თუ ურწმუნოები შემოერთებინა კათოლიკე სარწმუნოებისათვის". როგოც ზემოთ ვნახეთ, ფრანჩისკეს მონაზონები, უკან დიდი ხნიდგანვე იყვნენ დაბინავებულნი საქათველოში და დომინიკიანებთან ერთად შრომობდენ ქართელების გასაკათოლიკებლად.

იოანე საქართველოს მოვიდა 1318 წ. და თითქმის 30 წელიწადი დაჰყო აქ. ტფილისის ეპისკოპოსად იყო 18 წელიწადზედ მეტი. როგორც სჩანს ვატიკანის და დომინიკიანების არხივიდგან, იგი 1348 წ. გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში, სადაც საქრთველოდგან მოსულიყო ევროპის დასავლელად. მის დიდს შრომას მოწმობენ, არხივების გარდა, ძველი მწერლებიც, ვინც კი მის შესახებ რასმე სწერენ: დიდის ქებით იხსენებენ და რიცხვენ საქართველოს დიდ მოღვაწედ და მოციქულად. თავისი მაღალის ნიჭითა და დიდის თავდადებით საქართველოს ერის უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ამას სხვათაშორის აქვე დასახელებული ავტორიც მოწმობს ესრედ: „იოანე ფლორენციელმა თავისი 19 წლის ეპისკოპოსობის განმავლობაში, მეტად შეაყვარა თავი როგორც ქართველებს, ისე ურწმუნოებსაც, რომლებიც მათ გარეშე სცხორებდენ".

1318 წ. სპარსეთში დაარსდა რავდენიმე საეპისკოპოსო ლათინებისა. იმათი უფრო შესანიშნავი იყო სპარსეთის დიდი ქალაქის სულთანიეს საარქიეპისკოპოსო. იქ ისე გავრცელდა კათოლიკობა, რომ მარტო იმ ქალაქში, კათოლიკე ეკკლესიები 25-მდე იყო. ამიტომ პაპმა თბილისის საეპისკოპოსო დაუმორჩილა სულთანიეს ეპისკოპოსსა.

ტფილისის პირველის ეპისკოპოსის იოვანეს სიკვდილის შემდგომ, საქათველოში კათოლიკობა არ შესუსტებულა, არამედ უფრო წარმტებაში მიდიოდა. პაპმა კლემენტო მეექვსემ, რა შეიტყო იოვანე ეპისკოპოზის გარდაცვალება, მაშინვე, 1349 წ. დანიშნა მის მაგიერათ ტფილისის მეორე ეპისკოპოსი ბერთრანდო კოლეტი, დომინიკიანი და შედეგი წერილი გაუგზავნა:

„პაპი კლემენტო VI. ჩვენს საყვარელს შვილს ბერთანდო კოლეტს, ტფილისის ეპისკოპოსს. მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა, თუმცა უღირსნი, მაგრამ დადგენილი ღვთის განგებით მსოფლიო ეკკლესიის მმართველად ვფიქრობთ თქვენის ყველა ეკკლესიების კეთილ დღეობისათვის, რაოდნათაც ღმერთი შეგვაძლებინებს. ხოლო უფრო მომეტებულად ვზრუნავთ იმ ეკკლესიებისთვის, რომელთაც საკუთარი მწყემსები დაეკლდათ და სამწუხაროდ დაქვრივებულან: ვცდილობთ, მათ მწყემსად დაინიშნონ ღირსეულნი პირნი, რომელთაც სურვილი ჰქონდესთ, იცოდნენ და შეეძლოთ მათი კარგათ მართვა და შეიქმნენ მათთვის სასარგებლონი. ამ უკანასკნელ დროებში სარწმუნო მოხსენებიდგან ვსცანით, რომ ტფილისის ეკკლესიას დაეკლდა მწყემსი სიკვდილის გამო ნეტარ ხსენებულის იოვანე ტფილელი ეპისკოპოსისა, რომელიც გადაიცვალა რომის გარეთ. გამსჭვალულნი მამობრივის გრძნობითა, არ ვინებებთ, რათა ის ეკკლესია დიდხანს დარჩეს უმწყემსოდ, არამედ ვნატრობთ დაუდგინოთ ტფილისის ეკკლე-

*) ოქროვ ჯვარ ვაზ ხ. № 8 — 9

ას ეგრეთი მწყემსი, რომელმაც იცოდეს, უნ-
დოდეს და შეიძლოს მისი დაფარვა მტერთა-
გან და ყველა მისის უფლების დაცვა და წარ-
მატება. ამიტომ, ჩვენ ძმებთან ერთად ჯერო-
ვანის გამოძიების შემდგომ, ჩვენ ყურადღებას
მოგაპყრობთ თქვენ, დომინიკიანების წესის
მღვდელ-მონაზონს, განსწავლულს, ცხოვრე-
ბით და ზნეობით პატიოსანს, სასულიერო საგ-
ნებში გამოცდილს და საქვეყნო საქმეებში
ბრძენს და აგრეთვე შემკობილს სხვა სათნო-
ებით, როგორათაც დაგვარწმუნეს სარწმუნო
პირებმა. შემდგომ ყველაფრის გამოკითხვისა,
ძმათა ჩვენთა რჩევით და ჩვენის მოციქულე-
ბრივი სრულის ხელმწიფებით გირჩევთ ტფი-
ლისის ეკკლესიისათვის, რადგან სათნოსაყო-
ფელი ხართ. ამიტომ გნიშნავთ იმ ეკკლესიის
მწყემსად და ეპისკოპოსად და ერთიან გაბა-
რებთ მის ყველა მმართველობას, როგორც სა-
სულიეროს, ისე სახორციელოს. იმედი გვაქს,
ტფილისის ეკკლესია წარმართოთ სასარგებ-
ლოთ და ბედნიერად თქვენის ერთგულის მზრუ-
ნველობით და შემწეობითა ღვთისათა, რომ-
ლისაგან მომდინარეობს ყოველი ნიჭი. მაშ,
მიიღეთ პატივით უფლის უღელი, რომელიც
გეძლევათ და სიმდაბლით მოუდრიკეთ ქედი
მის ტკბილ ტვირთსა; მოუარეთ გულ მოდგი-
ნებით ტფილისის ეკკლესიას, გასწვრთნევით
უფლის სამწყსო თქვენს მზრუნველობაზე და-
ვედრებული, და შეამკეთ იგი თქვენის სიტ-
ყვისა და საქის სწავლებით. იმედია, თბილი-
სის ეკკლესიამ გაიხაროს, რომ ჩაჰბარდა
ფრთხილ მწყემსს და ეთგულს მმართველს;
თქვენი სახელიც განითქვას ყველგან და გარ-
და საუკუნო სასყიდლისა, ჩვენგანაც მიიღოთ
უხვი კურთხევა და დაიმსახუროთ სამოციქუ-
ლო საყდრის პატივიც. 9 იანვრის, ავინიონით
მოცემული, მღვდელთ მთავრობის მეშვიდე
წელსა. (1349)".

საქართველოში კათოლიკობა რომ წინ
მიდიოდა და მუდამ დღე მრავლდებოდა ქარ-
თველ კათოლიკეთა რიცხვი, ამას ჯერ გვიმ-
ტკიცებს იმავე პაპის მეორე წერილი, რომე-
ლიც, ერთსა და იმავე დროს, მოსწერა ტფი-
ლისის ეკკლსის კაპიტულოს. კარგათ მოეხ-
სენებათ პატივცემულ მკითხველთ, რომ ლა-
თინის ეკკლესიაში კაპიტულოს შეადგენს რაე-
დენიმე კანონიკოსი, რომელიც შემვლელი
არის ეპარქიალის იერარქიისა; სხვა დანაშთ
მღვდლებზე უპირატესობა აქვსთ და მონაწილე-
ობას ღებულობენ ეპარქიის მმართველობა-
შიაც. ეს კაპიტულო, როგოც ძველი და ახა-
ლი წესდებულება გვიჩვენებს, არსებობს მხო-
ლოდ იმ ეპარქიებში, სადაც ბლომათ არის
მრევლი და სამღვდელოება და სადაც საკა-
თედრო ეკკლესიას დიდი ნივთიერი შემოსა-
ვალი აქვს.

კაპიტულო, როგორც სჩანს, ტფილისში
განუწესებია თვით იოვანე პირველ ეპისკო-
პოსს. იმ კაპიტულოსთან პაპის გამოგზავნი-
ლი წიგნი თითქმის ზემო წერილსა ჰგავს მცი-
რედის განსხვავებით. წერილის დასასრულ პა-
პი ავედრეს და უბრძანებს მათ, რათა კარგათ
მიიღონ ეპისკოპოსი, ყველა ნაირი პატივი და
მორჩილება უჩვენონ, მის დარიგებას და ბრძა-
ნებას დაემორჩილონ და ყველაფერი გულ
მოდგინებით აღასრულონ. წიგნი ასე იწყება:
„Dilectis filiis capitulo ecclesiae Thefeli-
censis" — „ტფილისის ეკკლესიის კაპიტულოს,
ჩვენ საყვარელ შვილთ". რადგან ძლიერ ცო-
ტა განსხვავება არის ამასა და ზემო წერილ
შუა, აღარ მოგყვავს.

იმავე პაპის მესამე და მეოთხე წერილი შე-
ეხება ტფილისის ეკკლესიის და მისი ეპარქიის
სამღვდელოებას და ეგრეთვე კათოლიკე ერსა.
ამათაც ავედრებს და უბრძანებს, რათა კარ-
გათ მიიღონ ახალი ეპისკოპოსი, პატივი სცენ
და ყველაფერში დაემორჩილონ.

მეორე საბუთი ქართველებში კათოლიკო-
ბის სწრაფის და არა ჩვეულებრივის გავრცე-
ლებისა არის იმავე პაპის მეხუთე წერილი
ტფილისის ეკკლესიის ყმებისადმი (ვასალები-
სადმი) წარმოგზავნილი. ძნელად დავიჯერებ-
დით, რომ არ შეგხვედროდა ვატიკანის უტ-
ყუარი საბუთი იმ ყმების შესახებ. საქართვე-
ლოში რომ, მცხეთის ეკკლესიასავით, კათო-
ლიკების ეკკლესიასაც ჰყოლია თავისი საკუ-
თარი ყმები, ეს უტყუარი ამბავია და ამას
გვიმტკიცებს, სხვათა შორის, ერეკლე მეფის
ერთი წერილი, რომელიც, 1781 წ., გორი-
სა და ტფილისის ეკკლესიის ყმებს პატრებისას

საზოგადო გადასახადისაგან ათავისუფლებს. ვის არ ახსოვს ქუთაისის კათოლიკების ეკლესიის გეგუთელი (ქუთაისის ახლოს) ყმები, რომლებიც ამ ეკლესიას ექვემდებარებოდენ ვიდრე 1835 წლამდე, როცა რუსის მთავრობამ ჩაიბარა და მათ მაგიერ კათოლიკეთა ეკლესიას ფული განუწესა.

შევნიშნოთ ესეც, რომ XIV საუკუნეში, ტფილისის ეკლესიის ყმები გაკათოლიკებულნი და მასთანვე ბლომათ უნდა ყოფილიყვნენ. უკეთუ ესე არ ყოფილიყო, პაპი ცალკე წერილს არ მოსწერდა. ეს წიგნი ზემოდ დასახელებულ ტფილისის ერისა და სამღვდელოების მიმართ მოწერილ წიგნსა ჰგავს. ხოლო ბოლოში ეს აქვს მიმატებული: „ყველა საყვარელ ტფილისის ეკლესიის ყმათა... ამ სამოციქულებრივის წერილით ყველას გიბრძანებთ, რათა ახლათ არჩეულს ეპისკოპოსს მიაგოთ ყოველი პატივი, შემდეგშიაც არ მოაკლოთ თქვენი ჩვეულებრივი ერთგულება, გაუწიოთ სათანადო სამსახური, ეგრეთვე უკლებლად (ანუ სისრულით) გარდაუხადოთ ყველა თქვენი მისდამი დადებული ვალი; უკეთუ ამის წინააღმდეგ მოიქცეთ, მაშინ, იგივე ეპისკოპოსი რა სასჯელსაც კანონიერად გადაწყვეტს ურჩების წინააღმდეგ, ჩვენც დავამტკიცებთ და ღვთის შეწევნით სისრულეში მოვაყვავინებთ, ვიდრე ჯეროვან დაკმაყოფილებას მიიღებდეს“.

შემდეგი იქნება.

გაბრიელ ეპისკოპოსის მიწერ-მოწერა

გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი საქართველოს ეგზარხოსის [illegible] მიმართ.

თქვენო მაღალ ყ-დ. უსამღვდელოესებავ, მოწყალეო მღვდელ-მთავარო!

31 აგვისტოს დაწერილ წერილთან ერთად თქვენ, თქვენო მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობავ, კეთილ ინებეთ და ხელ მეორედ გამომიგზავნეთ მე ახალი ჩემზე დაბეზღების ქაღალდი, ან უკეთ ვსთქვათ განმეორება წინანდელი დაბეზღების ქაღალდისა და თხოულობთ ჩემგან დაწვრილებითი მოხსენებას და განმარტებას ამის შესახებ. განსაკუთრებით შეკითხვით მე თქვენ: რა დამამტკიცებელი საბუთები მაქვს ხელთა იმის შესახებ, რომ თქვენ სდევნიდით გოგებაშვილს და მასთან, თითქო თავის გასამართლებელ საბუთად, ამასთან მიგზავნით რაღაცა დაუჯერებელ აღწერას მისი ავად-მყოფობის შესახებ, რომელიც ვითომდა მისი შედგენილია.

სულ ყველა ეს მე საშინლად მაოცებს: ნუ თუ მე თქვენზე ოდესმე დამიწერია საჩივარი? ნუ თუ მე თქვენ ოდესმე მოგთხოვეთ გასამართლებელი დამტკიცებინი თქვენი სიმართლისა? — მე ვწერდი თქვენ მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობას კერძო, ანუ უკეთ ვსთქვათ, მღვდელ- მთავრულ მოწოდებას, რომლის შესახებ, ჩემი შეხედულებით, ყოველი ეპისკოპოსი, მოყვარული თავისი ეკლესიისა და თავისი თანამსახურისა, შეუძლია და ვალდებულიც არის მისწეროს, თუნდ მასზედ მაღალ მწყემს-მთავარს, ვისთვისაც, მისი ჰაზრით, საჭიროა, გაფრხილება და დარიგება მის ჩადენილ ცოდვათა და შეცდომილებათა. ყოველივე ის რაც მე თქვენ გამხილეთ ჩემს წერილში თუ აღმოჩნდება სიმართლეს მოკლებული, კეთილი და პატიოსანი; ღმერთმა ინებოს, რომ არა თუ წერილში ჩემ მიერ აღნიშნული თქვენი ცუდი საქციელი, არამედ ყოველივე სხვაც თქვენს შესახებ ნათქვამი და გაგონილი გამოდგეს ტყუილი, უსაფუძლო და თქვენი მაღალ ყ-დ უსაიღვდელოესობა ამ საქმეში ბრძანებულიყოთ მართალი ღვთის წინაშე, როგორც შეჰფერის მართლ- მადიდებელ მღვდელ- მთავარსა. — მე არა ვარ იმნაირი კაცი, რომ მიხაროდეს, როდესაც მესმის ცუდი ხმები მართლ-მადიდებელ მღვდელ-მთავარზე. როდესაც ყოველივე ჩემი გრძნობა მივაპყარ ეკლესიის სამსახურს, მე ყოველთვის მიხარია, როდესაც მესმის მისი მოსამსახურეების ქება-დიდება და ვიტანჯები — როდესაც მესმის ცუდი, ისე თითქო პირადათ ჩემზე იყოს ნათქვამი. აი ამ წმიდა გრძნობამ და მოვალეობამ მაიძულა მე მოწერა თქვენთვის აღნიშნული წერილი. — რაიცა შეეხება, განსაკუთრებით, თქვენი გოგებაშვილისადმი დამოკიდულებას, მსჯელობის დროს მე ამის შესახებ ვხელმძღვანელობდი: ა) საზოგადო ხმებით, რომელიც ჩვენში გავრცელდა: ვი-

თომა გოგებაშვილი, როდესაც, თქვენი შევიწროებისაგამო, სასწავლებელს სტოვებდა, დასწერა წერილი დაახლოვებით ამ შინაარსისა: „გაახარეთ ექზარხოსი მე მივდივარ" და სხ. ბ) მე ჩამივარდა ხელში თვით გოგებაშვილის მიერ დაწერილი წერილი, მაგრამ არ მახსოვს როდის და ვის სახელზე მიწერილი, რომელშიც მას ჰქონდა აღნიშნული, რომ თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ ამ პატიოსანი მოღვაწის დაღუპვა.

თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა თხოულობთ ჩემგან დაწერილებითი პასუხს ჩემს საჩივარზე, მაგრამ არ მესმის, რა პასუხის მოცემა შეიძლება მაგ გვარ უსინიდისოდ შეთხზულ და გამოგონილ დაბეზღებითი ქაღალდზე, გარდა იმისა, რომ ყოველივე ეს სიცრუე და ცილის წამებაა. ეს თავზე ხელ-აღებული მაბეზღარი თავის ცილის წამებას, რომ რითიმე ასაბუთებდეს, მე მაშინ შემეძლო იმისი დარღვევა, მაგრამ იგი მე ბრალს მდებს ხოლოდ ლიტონი სიტყვებით და არა საბუთებით. ამის დასამტკიცებლათ მე მოვიყვან დაბეზღების ქაღალდში მოხსენებულ ერთს მაგალითს: მაბეზღარი ამბობს, რომ მასწავლებელმა პაპოვმა მოიკლა თავი მისთვის, რომ ვითომც მე და მღვდელი გოგაუროვი მას ვსდევნიდით. რისთვის ვსდევნიდი მე მას, რაში მდგომარეობდა ჩემ მიერ მისი დევნა, ამას ის არ ამბობს. პაპოვს არავინ არ სდევნიდა, პირიქით მე და განსვენებული კალანდარიშვილი ვიყავით ძალიან მხიარული, რომ ვიშოვეთ კარგი მასწავლებელი ლათინური ენისა, რაც ქუთაისში იშვიათია. მან მოიკლა თავი აი რისთვის: აღმოჩნდა რომ იგი გამოცხადდა ყალბი, თვით მის მიერ შედგენილი „ატტესტატით", ვითომც იგი არის სემენარიის სტუდენტი, როდესაც რომ იგი ყოფილა გამორიცხული სემინარიის დაბალი კლასიდგან ღვთის გმობისათვის, რაც საწყალმა თვით სთქვა სიმთვრალის დროს. სიმართლის აღსადგენათ იმ სემენარიიდგან, სადაც იგი სწავლობდა, მოვითხოვეთ ცნობები მის შესახებ; მოვიდა თუ არა ეს ცნობები მან თავი მოიკლა. აი მაგალითი ყოველივე იმისა, რაც არის აღნიშნული დაბეზღების ქაღალდში.

თუმცა მე კანონის ძალით მაქვს სრული ნება და უფლება არა ვითარი პასუხი არ მოგცეთ ამ გვარ უაზრო და უსაბუძლო დაბეზღების ქაღალდზე, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ვსთხოვ თქვენ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას შემდეგში არ შემაწუხოთ და არ მომთხოვოთ მე პასუხები ამ გვარ სულელურ, უსაფუძლო და უმნიშვნელო „დანოსებზე". თქვენ თითინ თქვენი ყურადღებით ამხნევებთ და აქეზებთ ჩემზე მაბეზღრებს; შეიძლება თქვენ ქუთაისიდგან ყოველ კვირას მიიღოთ ჩემზე „დანოსები", ამისთვის მეც თქვენ უნდა გაძლიოთ პასუხები ყველა იმაზედ, რაც მოუნდებათ ჩემზე სწეროს უსაქმო და უსინიდისო მაბეზღარმა? მე უმისოდაც დატვირთული ვარ აუარებელი საქმეებით და ძლივს ვასწრობ ასრულებას და ამ დროს კი უნდა ვსწერო პასუხები უაზრო დანოსებზე!! — ცხრად ჩანს „მედანოსეს" სურს ჩვენ შორის განხეთქილების და უსიამოვნების ჩამოგდება და ჩინებულადაც ასრულებს ამას. — მიქცევა ყურადღებისა ამ „დანოსებზე" არა თუ იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ მათ ხელ-მძღვანელობთ, რომ მათ სისრულეში მოიყვანონ თავიანთი გესლით და შხამით სავსე სურვილები?!

მე ვთხოვე თქვენ მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობას დააჩქაროთ ქორ-ეპისკოპოსის დანიშვნა სამეგრელოში, ვინაიდგან მე მხოლოთ იმ პირობით დავთანხმდი ხსენებული ეპარქიის მიღებაზე. ნაცვლად იმისა, რომ თქვენ ყურადღება მიაქციოთ ჩემ კანონიერ თხოვნას, თქვენ ჩემი წერილი იხმარეთ იმაზე, რომ იმის საშვალებით მე წამკიდეთ მეზობელი ეპისკოპოსი, რომელთან ვცხოვრობდი კეთილ-განწყობილებით და მეგობრულათ. აი თითქმის 15 წელიწადია რაც თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესება მე მავიწროებს და არ უშვებს არავითარ შემთხვევას, რომ მე შემაწუხოს და დამტანჯოს. არ არის არავითარი ცილის წამება ჩემზე, რომ თქვენ სულით და გულით არ მიიღოთ და დაიჯეროთ. მე ყოველივეს ვითმენ არავისთან არ ვჩივი, მხოლოთ თქვენ გწერთ ამაზე წერილებს, მაგრამ, სამწუხაროთ, თქვენი გული ვერაფრით ვერ მოვალბე. — ღმერთი იყოს ჩვენ შორის მსაჯული.

პირს ამა დაბეზღების ქაღალდისას ამასთან გიგზავნით, პირი კი პირველისა ვერ ვიპოვე: შეიძლება ის თვით დამწერმა მოიპარა? ვინ იცის. სწორეთ რომ მაცვიფრებს, რა საჭიროა თქვენთვის ხსენებული პირი, როდესაც ნამდვილი თქვენვე გაქვთ. საოცარია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ თქვენი მაღალ ყ-დ უსამღვდელოესება მიგზავნის მე „პირს და არა ნამდვილს; თვალსაჩინოა ეს იმ მოსაზრებით, რომ მე ვერ შევსძლო აღმოჩენა სამწუხარო ცილის მწამებელისა, რათა მას თავისუფლად შეეძლოს ჩემზე გადმონთხევა თავისი შხამისა. ვიმეორებ, ღმერთი იყოს ჩვენ შორის მსაჯული.

P. S. რამოდენიმე დღის შემდეგ ჩემი წერილის თქვენ სახელსედ გამოგზავნისა აქ, ბულვარში უკვე იცოდნენ, რომ თქვენმა მაღალ ყ-დ უსამღვდელოესებამ ბრძანა, რომ მე თქვენ მოგწერეთ შეურაცყოფითი წერილი. აქ არ არის რა გასაკვირალი, რომ ჩემი წერილის შინაარსი ყველამ გაიგო. ვინ იცის, შეიძლება თქვენ „კაბინეტში“, ან ჩემსაში ვინმემ ის გადაწერა, ან წაიკითხა და უამბო ყველას მისი შინაარსი.

გაბრიელ, ეპისკოპი იმერეთისა.

16 სეკტემბერი 1874 წ.

საზოგადო მიმოხილვა

რუსეთი. სახელმწიფო სათათბიროს კრება დღიდან დღეზედ აცხადებს მიუნდობლობას მთავრობისა და სამინისტროსადმი.

ამავე სათათბიროში სჯა-ბაასი ჰქონდათ მასზედ, რომ სიკვდილით დასჯა მოესპოთ რუსეთში და კანონ-პროეკტიც შეამუშავეს და მთავრობას შეეკითხნენ. გაზეთების ცნობით, სათათბიროს შეკითხვაზე სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ პასუხს გასცემს მთავარი სამხედრო პროკურორი ივანოვი.

შესწყდა ნაოსნობა, მუშები გაიფიცნენ ოდესაში, სიმფეროპოლში, ფოთში, ბათუმში. ჯერ კიდევ წესიერი ნავთა მიმოსვლა არ აღუდგენიათ. კერძო მკვლელობა გახშირებულია, ცარცვა მტაცობას ბოლო არ უჩანს, თითქმის ყველა რუსეთის გუბერნიებიდგან მკვლელობის და ცარცვა-მტაცობის ამბავი მოდის.

— ხმა, გავრცელდა, — ვითომ კოკოვცევისათვის მიენდოთ შეადგინოს ახალი სამინისტრო სათათბიროს წევრებისაგან. (?)

— სვიატოპოლკ-მირსკი სახლმიფო სამსახურში ბრუნდებაო.

საქართველოს ამბები.

სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენელ წევრებათ ამოირჩიეს: ბარათაშვილი, სიმ. წერეთელი და ბ. აივაზოვი.

— ნოქართა გაფიცვა გათავდა. ოფიციალური დადგინება მოხდა: „ნება დართონ“ ვაჭრებმა სავაჭროები გააღონ დილის 8 საათზე და დახურონ ნაშუადღევს 6 საათზე.

— კერძო მკვლელობა ხშირდება. ქურდობა თანდათან თამამდება.

საფრანგეთი.

— საფრანგეთის პარლამენტი შეიკრიბა, მის თავმჯდომარედ პრეზიდენტათ ასახელებენ ბრისსონს.

— საფრინგეთის ეპისკოპოსებს საერთო კრება ჰქონდათ: გარაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული; მალე შევიტყობთ მათთგან ამორჩეულ გზს, თუ რა წესით იმოქმედებენ ახლანდელ მთავრობაში, რომელიც ცხადი მოწინააღმდეგე გახდა ეკლესიისა.

— საფრანგეთი ერთხელ კიდევ იგემოვნებს რეოლიუციის და ანახიის ნაყოფს. რომის პაპის რისხვისა აღარავის ეშინიან, მაგრამ ძმობა, ერთობა და თავისუფლება არც სისხლით და მახვილით არ დამყარდება. ძველი ღმერთი ისევ ცოცხალია, ნაპოლეონ პირველი იძახდა. ნაპოლეონ მესამემ კი დაუმატა: ძველი ღმერთი ცოცხალია, ჯერ მამაა მოწყალე, მერმე მსაჯული მიუკერძავი მაშ ძველი ღმერთი ცოცხალია.

ავსტრია და უნგრია.

— იმპერატორი დაესწრო სამხედრო პარადს. ფრანც იოზეფმა ინახულა მთელი გარნიზონი ბუდაპეშტისა. იმპერატორმა პრინცს ოჰენლოოეს მოკითხა ცნობანი ახალ კანონ-პროეკტზედ დამოუნის შესახებ.

გერმანია.

— სამინისტროში სჯა-ბაასია თუ როგორ და რა თუობაებში მოხდება ავსტრიას და სერბიას შუა ალებ-მიცემობის ხელ-შეკრულება. იმპერატორი დაბრუნდა ბერლინში ვენაში წასასვლელად. ავსტრო-ვენგრიის ელჩი მოწვეული იქნება ვენაში იმპერატორ ვილჰემის დარბაზობაზედ დასასწრობლად.

ანგლია.

— ანგლიისა და რუსეთის შეთანხმება ჯერ არ გათავებულა, სრუტე დარდანელის კითხვა შეეხება მხოლოდ ალებ-მიმცემის კითხვას და არა სამხედრო სტრატეგულ მდგომარეობას· კრონშტადში მოელიან ანგლიის ფლოტსა.

იტალია.

— მილანის გამოფენამ დიდ-ძალი ხალხი მიზიიდა.

მეფე ვიკტორი რომში დაბრუნდა.

სამინისტრო გადადგა, სხვა ახალი შესდგა. პარლამენტი შესდგება ივნისის პირველ ნაწილში. კიტაის ხემწიფის ვიცე მეფე მობრძანდა რომში. — ვიტტეს ასახელებენ ელჩად რომში.

ისპანია.

ალფონს XIII ჯვარი დაიწერა 1120 თანადამსწრე იყვნენ. ახალ ჯვარ დაწერილთ მეფე და დედოფალს ყუმბარა ესროლეს, მაგრამ ვერა ავნეს რა. მთელი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთები ჰკიცხავენ ანარხისტულ მოქმედებას. მეფე ალფონსი XIII შეყვარებული და მიჩნეულია თავის ერისაგან.

ჰოლანდია

საზოგადო მშიდობიანობის დამყარების შესახებ კონფერენცია გაიხსნება ამ თვის დამდეგს.

შვეიცარია

ფედერალთა კრებამ დართო ნება, რომ ამ თვის 1 მოხდეს ვარჯიშობა ორთქლით თუ ელექტრონით.

რუმინია

ოდესასწაულეს 40 წლის რუმინიის ვანთავისუფლების და სახელმწიფოდ დაარსების დღე.

საბერძნეთი

— საბერძნეთმა გასწყვიტა საპოლიტიკო მიმართულობა სერბიასთან. რუსეთი დახმარებას ჰპირდება საბეძნეთს.

— ეგვიპტეს და საბერძნეთ შორის ალებ-მიცემობის ხელ-შეკრულება მოხდა.

ამერიკის რესპუბლიკა

— ნიუ-იორკიდან მოსულ ცნობებიდგან სჩანს შეერთებულ შტატების პრეზიდენტის ადგილზე რუზველტის მაგივრად არჩეულ იქმნა ბრაიანი.

— ხმა დადის რომ დიდ ძალი სამხედრო მასალები გაუგზავნიათ კუნძულ აითში, სანდიმინგოში.

ჩილი

— პარლამენტმა გადასწყიტა გამოსცეს 40 მილიონი ქალალდის ფული.

აზია

— იმპერატორი კიტაიისა ავათ არის; მისი სიკვდილის ხმა გავცელდა.

ძველი სასულიერო მწერლობა იოანნე ფილოსოფოსისა პეტრიწისა მიერ თქმული იამბიკინი *)

შემდეგი.

დანიელს ლომნი ყრმათა სახმილი მძაფრი მან თქვნა ყოფანი ამათ შესცვალეს ნივთნი მანას ახა, მერმე მათ ქალწულებრი შობა იგი მშვიდობით ესე ხრმალითა სწყდებიან და დონალეტის ალსარებისა ოფლთა შემდგომად ჰრული მშვიდობით ჰრულის ღირსთა:—

— ფლვისტოს სწერს და ცისა ქვეშე იწერების თვითადი თვისად ქალაქად და ქალწული ბეთლემად დავითის ჰყავს ასულობასა შობათ მვისობს და სავანე უნებს ქვაბი და ბაგა ეპორფირპალატების და ევგენია მუნცატომ კეთილეობს ხრმალისა მსხვერპლი მშობლებ ძმებ მრწემებითურთ:—

— საშოსყთ არსებით მზე პირველ მთიებისა უდედოდ რომელ ძე მამამან სხვა გვამი, მასვე უმამოდ გუამსა სისხლთაგან თვისთა შობს დედაკაცი ადამიანი ბეთლემს ჩჩვილსა ახალსა საუკუნეთა ღმერთსა:

*) ჯვარი ვაზისა № 8—9.

— სტეფანეს თავი ეანდამატა ლოდთა, და თხემსა მისსა ემარგალიტნეს ქვანი პირველ მოწამე. მოციქულ დიაკონი სავსე სულითა განხმად აჰხედავს ცადა, და თვით მათვე ღვაწლთა შინა მისცვალებს და მეორესა ამწყემსთა ხესთა მწყესებს: —

— მოგვნი მოჰკიცხვენ ჰეროდეს ეძვინების კვლითა ჩჩვილთაათა აუშვილოებს რაქელსა ღმერთ მყოფისათვის ხოცს მადლითა ღმერთ ყოფეადთა მათთა ბრგვნილთა იძოწეულებს სისხლთა ქრისტეს ერთ ასაკ მსხვერპლემით ეკლესია აანგელოზებს უძილობა მარკელესა მადლითა ღთაებს იშებ შემოსილება ხოლო ქვეყანით განხსნა ამიწის კაცებს: —

იანვარი

— ჩჩვილებრ დაცვეთა არვადლის იოსებს საუკუბა და ხდათა მიერ კურძისა. ბასილი ცათა არა იუმაღლესებს ეზესათაების თვით ღთამდე მის შემდგომთა გრძნობასა სულჰყოფს სულსა. გონება ხოლო მას ღმერთი განმხილველ ღვთისათანა ღვთისათა დაგანსვლით ხატსა აპირმშო მაგალითებს: —

— ქალწულმან რომელ კაცებრ სხვა გვამი ღმერთი ხოლო ქადაგმან იორდანეს მიზეზმან ძედ და სულმან წმინდამა სწორ არსად. წყალნი აახლნა ადამ ალაგო კვალად მან დღეს ნათელთა ანათლის მთენა კრება: -

— საიდუმლოსა მსახური ანგელოსი წინაშე პირსა გზა წირფელ მყოფელი გვათა. წინამორბედი დღესა კრებობს სამსოფლიოდ და მამულისა მარჯვენისა მარჯვენე ნათლის მცემელი. მისი აღმოვალს ჩვენდა მწყემსთ ზესთა მწყემსი ქალაქთა პორფირისა მვიროს განთქმულნი მოიხსენების ქებით:

— კლიტეთ მპყრობელი თვით ღმრთისა სამეფოისა ქადაგთა მისთა უმწვერვალესი თხემი პეტრე განთქმული თაყვანისისცემების კვერძოთურთ მისდა ზედა დასხმულთა ჯაჭვთათ სძავს. ღიონისის მდედრ მამრობათ და ნაკტოსსა და არ მგებელი მისი განიმახვილვის: -

— სამყაროდა გინებითა ანტონი არსთა სიტყვანი ემზე მთიებობდეს ფლობდი ვნებათა ღმრთობადა ეშმაკთა ზედა. ნაზირეველთა ეპავლე ქრისტევბდა და მკვდარმან ხატსა რქვა სახიდასაბამოდ იულიანე და იგივე საბაცა შრომისა ოფლთა სცულის სასწაულთა ნიშად უგზოურწყულსა ასამზრუნველებს უქმსა. და ღირსი ღრთმისა წმიდად ერთუბის წამისდასა ელოსიპპო და სპე სიპო ველასიპპო ნეონილათურთ მამისა დედის ცეცხლისა ქადება მძაფრი ათობმეტ მაზის ეტლებს: -

— სერაბიმთასა წიაღველის დაფარულსა უპირატესსა ესახვის გონებასა იგიცა აღმრთოებს გინების სიტყვასა, ეპისკოპოსი ქალაქთა პორფირისა ღმერთ ხმა გრიგორი დღეს პატრიარხობს ზეცას და ერთაცადმდე აღმზღუდველი ლოცვითა აჰერისათა შემბორკილავი სულთა პოპლის იღვწის ნიშებს დაიმშვიდ ჰარილებს: —

— ვიზინტის ასულთა იმსთ უვეს განცდად ღვაწლთათ მოსრულსა სიძესა გვირგვინითა და ეკლესია სძლებრ ათერისტრეს მისთვის. და კვალადცა ცოცხლებრმმან აღსრულმან საყდრად მშვიდობა შვილთა მისთა ჰრქვას ოქროპირმან: -

— ასურეთისა მზე მრავალ შანთი ეფრემ ცის საქანალებრ ცრემლითა აშთობს გმირთა უგონებოსა ბასრობს აპოლინარუ დიდსა ვასილის ექვს საყურლების და სულსა ზეცად მტყოცერის ჰგზავნის ედესად: -

ფებერვალი

ქერუბიმებრთ საყდართა მკლავთა მჩენი. ურიცხო ჩჩვილებრ რიცხვსა სჯულითა სრულ იქმს სიმეონ იჯმნის ქალწულსა სულის წყვლთა. უთქომს და ანნა ფანოელეთი ყრმასაა აიესლებს აღმრთოებს აძველდღეთაებს ამისნი მრწმენნი პერპეტო და ფილიკტი დიაკეულთა ვერურთაგან განბრძალუნი მოყვსებთა თანა ხრმალსა ემალნინტვიან:

- ხორცი უხორცო კაცი ზესთა ანგელოსნი მიწით ქადაგი. საფლავით წინა მსრბილი სარქვენით საუნჯე სამარით ნათელმცემი სინანულისა კარი იროდის ხრმრვილი იოანესი თავი სიღრმით გვეპოვა:

აწ განმიტევე გუშინ სიმონ ხმობდა დღეს ცეცხლის ფერთამკლავთა ადამს უჩვენებს წინდათა სულნი ხმობენ აქაცა მღვდელი ძრწის ჯოჯოხეთი ანნა რა ახარებდეს დავითის ძე შენი და ღმერთი ვიხილეთ ჩვენ აქ სრულდების ადრიანეცა ხრმალსა: -

თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გამარჯვა ხალხალისი ღვთის-მშობელს. დროშა და მანაკი მარადის ეს ამბავი ხუთეულად ოცდახუთ ლექსად თქმულია.

ცისა ცათასა დამწყები ღმერთი მთავრობაი:
ძე საუკუნოდ პირველ და კვალად,
სულმან ღრთისამან სრულყო არმოქმედებადი,
სამებითი სრულმან ერთ ღთაებითა.
მიწით პირველისა პირმშოსა კაცსა: —

შენ მიერ მისთვის დრეკს მისი გამგები.
დრკუ მიდრკა უვნები ვნებისადმი
ივნო და ვნება პირველი უვნებელყო.
შენგან შობილმან ჩვენ ღირს გვყვნა აღმოშობად.
ძნელით ნათელ სა ნათლით მხედველობდა: —
შენგან ქალწულო რომელსა შენთვის დავითი
მოკვი და ძისა ღთისა ძედ შენ და ყოფად.
მე თამარ მიწა შენი და მერვე.
ცხებულებისა ღირს მყავ და თვისობასა.
ედემს ღადირად სამხრით და ჩრდილით.
შუამფლობელი იავარსაშენდა
ხალიფასა დროშასა თანავე მანიაკსა.
შევრთე ცრუ სჯულთა მოძღვრისა ღაზოდ
მძღვანი:.
წინ დავით ეფრემის ძეებრ მოისარმან.
მოირთხა მოსრნა სულტანთა ათაბაგი.
ირან ებრძოლნეს ჩვენ მიერ მისთა სპათა.
მოსწყლნეს მოსწყვიდეს აგარის ნათესავნი.
მუნით მოხმულთა ნიჭთაგან ერთისა ამის.
შენდა შევწირავ მოიხე ძეებრ ღმერთო: —

(გასაგრძობია)

საქართველოს სამღვდელოება და რუსეთის ეგზარხოსები *)

—

ეკ) ეგზარხოსმა იონამ დარიის მონასტერში გადმოიყვანა ორი ბერი-ტარასი (ალექსიევ-მესხიევი) და ფილადელფი (კიკნაძე). 1830 წ. პოლშაში მომხდარმა არეულობამ საქართველოშიაც გადმოხეთქა და მრავალი თაავად-აზნაურობა — სამღვდელოება ჩაითრია. სამღვდელოთაგან ორი მღვდელ-მონოზონი-ბერი იცნო დამნაშავედ უმაღლესად დანიშნულმა საიდუმლო გამომძიებელმა კომისიამ, რაკი შეთქმულებმა თავისი ხვაშიადი ამ ორ ბერს გაანდეს, როგორც კარგს ქართველს მამულიშვილებს. ამ ორმა ფრიად განათლებულმა ბერმა არიკადრეს საირუმლეობა აღსარებისა დაერღვიათ და მთავრობასთან დაებეზღებინათ აღსარების მთქმელნი (შეთქმულნი), პირიქით გაამხნევეს კიდეც და მათი განზრახვა აკურთხეს და მხურვალე ლოცვით სახიფათო საქმე გაუადვილეს. ამათი დანაშაული ეს იყო. სტაცეს ხელი ორივეს და მეტეხის ციხეში დაამწყვდიეს 1832 წ. დეკემბერში. ეგზარხოსმა იონამ შემწეობის მაგიერ ორივეს მღვდელობა აუკრალა და ჯამაგირიც მოუსპო. გამოძიებამ გაამართლა იგინი, მაგრამ აღიარა კი არაკეთილ სინდისებად. ჯერ საქმე ხელმწიფესთან არ წარედგინათ, რომ 2 სექტემბერს 1833 წ. ფილადელფი უცებ (?) მიიცვალა მეტეხის ციხეში. ტარასი ბევრს კი მღვდელობაც დაუბრუნეს და 1 იანვრიდგან 12 სექტემბრამდე ჯამაგირიც (53 მან. 33 კოპ.) მისცეს.

ხელმწიფეს რომ წარუდგინეს გამოძიებული საქმე, ტარასის შესახებ დააწერა; 21 ნოემბერს 1833 წ. **Іеромонаха Тарасія имѣть подъ строгимъ присмотромъ.**

ტარასიმ შემდეგ არხიმანდრიტობაც მიიღო, კანტორის წევრობაც, ეპისკოპოსობაც შეაძლიეს ერთხელ, მაგრამ უარი სთქვა. ეგზარხოსებთან და მაბეზღრებთან ჩხუბში გაატარა თავისი დღენი და 1876 წ. 4 მაისს მიიცვალა თავის საყვარელ ქვათახევის მონასტერში. მტრებიც კი პატივსა სცემდენ, ისეთი კაცი იყო *).

ლ) 1820—1834 წლამდე მოსკოვის სინოდის ტიპოგრაფიაში იბეჭდებოდა ქართული საეკლესიო და სხ. წიგნები. თეოფილაქტეს მოხერხებით ამ 1834 წელს ტიპოგრაფიის გამგემ უხერხულად სცნო ქართული წიგნების ბეჭდვა მოსკოვში. ამიტომ დაითხოვა კორრექტორი ვასილ ქებაძე (სასხორელი, წელიწადში 800 მ. ჰქონდა) და მოახსენა სინოდს — „ეს სჯობს ოფიციალურსა კანონსნეს ქართულსა სტამბა და აქ ბეჭდონ ქართული საეკლესიო წიგნებიო?“ სინოდი შეეკითხა უქაზით კანტორას ტფილისში. კანტორამ გზები დახლართა — „ქართველები ეს სწერენ და ეს კითხულობენ და ამიტომ ძნელია მოვანდობინოთ წიგნების ბეჭდვა უწმიდეს სინო-

*) ჯვარი ვაზისა № 7.

*) იხ. საქმე კანტორისა 1833 წ. № 3326.

დის სასაფლაოზე.—ამერეთის კანტორასთან კახსნიდს სტუმარნაშეო. მოსკოვიდგან წიგნების გზავნა ძალიან ადვილია". კანტორა სემინარიის სამმართველოსაც შეეკითხა, სემინარიიდგან უპასუხეს: — „საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში წელიწადში 100—150 ცალზე მეტი ქართული გრამატიკა არ იყიდებოდა, რუსულ-ქართული „ლაპარაკი"-ბი ეს ასო მაგდენივე, სულ 150 მანეთისა, ხოლო რუსული წიგნები უფრო ბევრი იყიდებოდა 400 — 500 მანეთისა". კანტორამაც მისწერა: — „სტუმარ საფლარ არ არის ქართველებისთვისა *).

ლა) რაც სამღვდელ-მთავარო საყდრები დაიხურა რუსის მთავრობისგან საქართველოში (ტფილისისა, რუსთავისა, სამთავროსი, წილკნისა, სამთავისისა, ურბნისისა, რუსისა, ნიქოზისა, ნინოწმიდისა, ბოდბისა, ალავერდისა და საკათალიკოზო მცხეთისა, ქუთაისისა, გენათისა, ნიკორწმიდისა, ჭყონდიდისა, ცაგერისა, ცხინვალისა, ჯუმათისა, ხარჭაშნოსი) ძველდროდგანვე ყველგან მგალობელთა გუნდები იყო გაწყობილი. ყველა მღვდელთ-მთავარი ერთი მეორეს ეჯიბრებოდა უკეთესი მგალობელი ჰყოლოდა. მგალობლებს ყოველ წლიე გადაკვეთილი ულუფა ეძლეოდათ საეკლესიო შემოსავლიდგან და თავისთავის ტკბილად ცხოვრებდნენ. მაგ. ალავერდის ტაძარში იყვნენ მგალობლები 1811 — 1815 წ.წ. და ეძლეოდათ წელიწადში:

1) ზურაბ მალრაძეს 3 ცალი ღვინო, 20 კოდი პური.

2) ნინია მალარაძეს 3 ცალი ღვინო, 20 კოდი პური.

3) ბეჟან მალრაძეს 1 საპალნე ღვინო 12 კოდი პური.

4) პეტრე მღვდელს 3 ცალი ღვინო, 12 კოდი პური.

5) თეოქისტე მონოზანს 22 ჩაფი ღვინო 12 კოდი პური.

6) მოლოზანს თეონას 12 ჩაფი ღვინო 7 კოდი პური **).

გაიხსნა თუ არა სინოდის კანტორა საეკლესიო შემოსავალი გამოაშორა მღვდელ-მთავრებს, ანუ გამგებლებს, და ყველანი ერთიანად ხახამშრალი გაუშვა. ამისგამო დაიქსაქსნენ მგალობლები აქეთ-იქით და ნელ-ნელა მისწყდა მგალობელთა მწყობრი ხმა. 1833 წ. ეგზარხოსმა მოსემ მარტყოფში-ღა. მოისმინა მწყობრი გალობა და ნოტებზედ იწყო გადაღება.

ლბ) 1811 წლიდგან, რაკი კათოლიკოზი ანტონ II რუსეთში დატყვევდა და საქართველოში მოსვლა ველარ ეღირსა, ბოდბის ეპარქია საარხიმანდრიტოდ გადააქციეს და ალავერდის ეპარქია ჩაჰბარდა ღვინობისთვის გასულს იოანე ბოდბელ-მიტროპოლიტს. გაიხსნა თუ არა სინოდის კანტორა, დავთრებიც აერია საცოდავ იოანეს. ჯამაგირი ჰქონდა წელწადში 2500 მან. რაკი საეკლესიო შემოსავალი ჯერ ვარლამს და მერე კანტორას მოჰქონდა, იოანეს კი აიმედებდა — „ჯამაგირს მიიღებ, ნუ გეშინიანო". ამიტომ იოანეს აკლდა ჯამაგირი— 1814 წ. 1830 მან., 1815 წ. 1666 მ. 70 კ. და მთელი 1816 წ., ანუ სულ 5996 მან. და 70 კაპ. ეს ფული იოანემ მოსთხოვა კანტორას — „შემოსავალს რომ აზადებინა ნელ-ნელა რატომ ჩემ ჯამაგირს არ მაძლევთ?". ძალიან იტაცა კანტორამ და ანგარიშები მოსთხოვა იოანე ბოდბელს: 1811, 1812, 1813, 1814, 1815 წლების შემოსავალი რა იყო, ანგარიში წარმოადგინეო. მოხუცი მიტროპოლიტი, მთელ საქართველოში მეფეთა და თავად-აზნაურთაგან პატივცემული, აბუჩად ასაგდები შეიქმნა კანტორის წევრთაგან, სადაც გაიძვერა ელევთერი და დოსითეოზ ფიცხელაური საითაც უნდოდათ თავს იქიდ უშვრებოდნენ საქმესა. მეტი რა ღონე ჰქონდა, ადგა და ასე უპასუხა: „1811 — 1812 წ. მთელ კახეთში აღრეულობისა გამო შემოსავალი არა მიმიღია რაო. მომცემთ ჩემ ჯამაგირს (5996 მან. 70 კოპ.) ხომ კარგი, თუ არა საცა ადგილია —იქ ვიჩიელებო". კანტორამ ხელახლა მოსთხოვა იოანეს 18 აგვისტოს № 502. იოანემაც უპასუხა: „ალავერდი რომ ჩამბარდა, 1811 წლისა ორი თვე-ღა იყო და აბა იმ წლისა რაღა შემოსავალი უნდა მიმეღოვო? გამგეობა დავიწყე 1812 წლიდგან. ამაზე დროს ბოდბის სასრხიმანდრიტოც დაწესდა და 2 თებერვალს არეულობაც დაიწყო მთელ კახეთში, დიდი სისხლის ღვრა იყო ყველგან, საჭდებრა-დაბაზრის შემოსავალა სულ მთლად ბოთალი შეაქმნა. კოდის ნახევარი პურიც ვერ

*) ან. ხელმ. კანტორის 1835 წ. № 3606.

**) ან. ხელმ. კანტორის 1816 წ. № 117.

ავიღეთო, ასე გაგრძელდა აღრეულება მთელ 1812 და 1813 წლებშიაც. აქ რუსის ჯარი იდგა მცველად და ისე სადგომად, კიდევ იანარლები და ჯარი და როგორც ნებივდათ, ისე იხარჯებოდა საეკლესიო ჰური, ღვინო და სხ. თუ 1813 წ. რამ შემოსავალი იყო მანდ ეგზარხოსს მოერთვა და მე კი უჯამაგიროდ დავრჩიო. შემდეგი წლების ანგარიშები ხომ მანდა გაქვთ, ჩემგნით წარმოდგენილებიო. (აგვისტოს 25, 1816 წ. №63). კანტორამ მაინც კიდევ მისწერა იოანეს: 1) რამდენი შემოვიდა საარხიმანდრიტოს (ბოდბის) შეშოსავალი 1811 და 1812 წ.წ. 2) რა აიკლეს მეამბოხეებმა და რამდენი? 3) თუ ასაღები დარჩა, დაწვრილებით მოგვწერეთ — რამდენი დარჩა აუღებელიო? 4) დაგვისახელეთ — რომელმა გენერლებმა და ჯარმა დახარჯეს საეკლესიო შემოსავალი, და გაქვთ იმათი დანახარჯის ბარათიო? 5) ვის მოახსენეთ მაშინ ამ დანახარჯზედა? 6) რა იყო შემოსავალი, რამდენი და რაზედ დაიხარჯაო? (1816 წ. ოკტომბერს 4, № 530). იოანემ უპასუხა: „1811 — 1812 წ. ვიმყოფებოდი ალაგერდს და იყო აღრეულობა და ვისძალ-ედვა აღება შემოსავლისა? ვინაიდგან აღზავებულ იყვნენ და წინაალმდეგ გლეხნი, და ყოველი შემოსავალი უქმ იქმნა. და როცა შემოსრულიყო შემოსავალი ვიდრე კნიაზ დამატრას ოსეელიანის მოსვლამდე, პირველ ქართველთ აეკლოთ, რომელ ეკლესიაში ყოფთ გამოყენა არ შეეძლოთ, ვინაიდგან სიკვდილს ეშაოდნენ და ვინ აღრიცხვდა დანახარჯს. შემდგომ კრებულს ეთხოვა კნ. ორბელიანისთვის მცველად ეკლესიისა ყარაული ერთი როტა ჯარი მდგარიყო რაოდენიმე ხანი და როგორც ჰნდომოდათ — ეხარჯათ, და ეგრეთვე, თითონ რაცა ჰნებებოდათ — წაეღებინებინათ. შემდგომ მეც ჩამოველ, რვა დღე თითონ კნიაზი ბძანდებოდა და იმ ჟამს რაოდენი თავადი, ანუ გლეხი ახლდებოდა მოჩივარი, რუსს გარდა, თქვენ იფიქრეთ. ამას გარდა. სკამონოკაჩა მოვიდა თავის შვეთა ორი დღე და ეგრეთვე ამას რაოდენი ხალხი ეყოლებოდა რუსნი. თუ ქართველნი და ამათ ეგონენ მრავალი ხარჯი მოუნდებოდათ და დანაშთენი ძნიად კმასაყოფელი ექმნა გამოსაზრდელად კრებულთა. ამა წლების შემოსავლის ნაკლულეანება მაშინვე გამოვუცხადე საქართველოსა და იმერეთის ეგზარხოსს და მაგათ მიერაც წარდგენილ იქმნა უწმიდესის სინოდისადმი, რომელ აღრეულობისა გამო არ აღებულ იქმნა სრულიად შემოსავალი ეკლესიებისა. და ვგონებ, უმეტეს ყოველთასა, აღრეულება აქ იყო, და რაი აიღებდა და ან ვის შეეძლო აღება? ეგრეთვე სხვა შემოსავალი დუქნებისა, ანუ სამლეგროსი — ყოველივე უქმათ იყო და ვინ რას გამოართმევდა? და ამის მიზეზით იქმნა ყოველივე შემოსავალი ნაკლულეანი". ახლა კანტორამ უპასუხა: „1 სეკტემბერს 1813 წელს 1600 მან. გაქვს მიღებულიო. საშუალება არა გვაქვს რადა დანიშნულ ჯამაგირს ვერ მოგართმევთო. საეპარქიო შემოსავლის მომატებას ეცადე და მერე მიიღეო"...

ახლა კი გაცხარდა იოანე ბოდბელი და სწორეთ ბოდბულად შეუტია კანტორას: „მაქვს ვალი განმრავლებისათვის შემოსავალთასა, და თუ საიდამ, ვერ გულისხმა მიყოფიეს! ჩემის ეკლესიის შემოსავალი ყოველივე აღრიცხული გაქვსთ და როგორც შარშან ფასობდა ჰური და ქერი, წლეულ უფრო ნაკლებ იყიდება; ეგრეთვე ღვინომაც იკლო, და ვითარ განმრავლდება? კანტორა მიბრძანებს — „უკეთუ შემოსავალი არ განამრავლე — ჯამაგირი არ მოგეცემაო"! უმაღლესმა ხელმწიფემ და უწმიდესმა სინოდმა ჯამაგირი მიბოძა, მრავალი დავდომილი შეუწყალებია, და მეც შემიწყალა. მე არ აღმითქვამს შემოსავლის განმრავლება და არც აწ შემიძლიან აღთქმა. ვის მიერაც მებოძა ჯამაგირი, იმასვე ვსთხოვ და, თუ ინებებს ხელის აღებას, მაშინ დავიდუმებ თხოვასა. გარდა ამისა, არ შემიძლიან ხელის აღება და თხოვის დადუმება: თუ სხვანი ჯამაგირს ქვეშ მყოფნი დაიკლებენ, მეც მაკლდეს. და თუ არა, სხვანი მომატებით იღებენ ეკლესიის შენობისათვისაც და ჯამაგირსაც, და მე ეკლესიის შენობისათვისაც არ მეძლევა, არამც თუ ჯამაგირი. მხოლოდ თუ ჩემთვის ინება უმაღლესმა და უწმიდესმა სინოდმა მოკლება — გამომეცხადოს; და თუ არა — დაუცხრომელად ვითხოვ ჩემს ჯამაგირს, ვიდრემდის ვის მიერცა მიმიღიეს ან სრულება მომეცნს, ან სრულიად ხელი ამაღებინოს". აქ კი კამტორამ ამოიძუა კუდი სუ-

ლი განაბა. (იხ. საქმე კანტორისა 1816 წ. № 202).

წმ. ნინოს შემოსავალი იყო:

1813 წ. 900 კოდი პური, 360 კდ. ქერი, 30 საპალნე ღვინო, 704 მან. 25 კ. 1814 წ. 900 კდ. პური, 360 კდ. ქერი, 28 სპ. ღვინო 818 მან. 25 კოპ. აქედგან ეგზარხოსს მიერთო 1813 წ. 10 საპალნე ღვინო, კანტორას მიერთო 200 კოდი ქერი, 40 კოდი პური წახდა წვიმისა და ტილისაგან, კანტორის მიერ დაბეჭდილ ორმოში.

1814 წ. კანტორას მოერთო 518 კოდი ფქვილი, 40 კდ. ქერი, 47 კდ. პურიც ეგზარხოსის მსახურთაგან დაბეჭდილ ორმოში წახდა.

ალავერდის შემოსავალი იყო:

1813 წ. 1315 კოდი პური, 143 კოდი ქერი, 151 საპალნე ღვინო, 535 მან. 44 კ. 1814 წ. 1289 კოდი პური, 160 კოდი ქერი, 176 1/2 საპალნე ღვინო, 379 მან. 47 კ. სხვა შემოსავალი — 35 კდ. ფქვილი, 60 კდ. ქერი.

1811 წ. შემოსავლისა 500 მან. ელეევთერ არხი მანდრიტს წამოუღია. აქედგან ეგზარხოსს მიუღია ათანასე არხიმანდრიტის ხელით: 1813. 1814 წ. 191 კოდი პური, 40 კოდი ქერი, 32 1/2 საპალნე ღვინო, 514 მან 70 კ.

1814 წ. დარჩა 1815 წლისათვის — 2074 მან. 60 კ. 1815 წ. შემოვიდა: 1476 კ. პური, 281 კ. ქერი, 187 1/2 საპ. ღვინო, 1815 წ. 1816 წლისათვის დარჩა: 445 კ. პური, 145 1/2 საპ. ღვინო, 3707 მან. 10 კაპ.

(იხ. საქმე კანტორისა 1816 წ. № 117.)

ლგ.) მთიულეთში აჯანყების დროს (1803 — 1804 წწ.) ბატონისშვილები ფარნაოზის და სხ. ერთი გამახნევებელი და რუსთადმი სიმძულვარის უხვად მთესველი იყო ბერი იოსტის ანდრონიკაშვილი. იგი იყო ერთი ფრიად განათლებული ანტონ კათალიკოზის მოწაფეთაგანი, კაცი ფილოსოფოსი და ღვთის მეტყველი. ბაგრატოვანთა სამეფო ოჯახის ფრიად ერთგული ყმა იყო და რუსებმა ვერ შეირიგეს ვერას გზით. რუსებმა დაატუსაღეს 1804 წ. სტეფან წმიდაში და დააწყვდიეს ნათლის მცემლის (გარეჯის) უდაბნოში. 1816 წ. მარტის 22 — 27 სინოდის კანტორის პროკურორი ჭილაშვილი დავით გარეჯის უდაბნოში იყო და ხაშიდგან მოსწერა კანტრას: „დავით გარეჯის უდაბნოს ბერ-მონაზონებმა შემომჩივლეს, რომ 1815 წლიდგან წინამძღვარი არხიმანდრიტი ილარიონი (ვაჩნაძე) დოსითეოს მთავარეპისკოპოსმა ოსეთის კომისიაში დანიშნა და ეხლაც იქ არის, და ჩვენ წინამძღვრათ კი ითვლებაო. ამიტომ უდაბნოს საქმეები გაუკეთებდი რჩევა და აქაურობა არეულ-დარეულიაო. მთხოვეს ყველამ— ნათლის მცემელში მყოფი იოსტოს ბერი დაგვინიშნეთო, რადგან ილარიონი დოსითეოსისთვის საჭიროა და ვერა შორდებაო. ამ თხოვნას მე სამართლიანად ვხედავ და ვთხოვთ კანტრას დააკმაყოფილოს დავით გარეჯის ძმანიო“. კანტორამ დოსითეოსს მოთხოვა ცნობა. დოსითეოსმა უპასუხა:

(„შემდეგი იქნებ»).

ჯავახეთი

(ეთნოგრაფიული წერილი)

—

საზოგადოთ, ჯავახეთში, მამაკაცს მეტი გავლენა აქვს დედაკაცზე, უფრო, მეტადრე წვერთეთრესა, რომლის ბძანებლობის და მორჩილების ქვეშ უნდა იმყოფებოდეს მთელი ოჯახთა წევრი, რომელნიც ხშირათ 20 — 30 სულს შეადგენს. ერთ უფროსის მეოხებითა, რომ ოჯახობაში ბევრდებიან და გვიანობამდი არ იყრებიან რამდენიმე ძმა, რომელნიც მისი ბძანების ქვეშ მორჩილობენ.

ბოდიშს ვიხდი მკითხველთადმი და აქ მოვიყვან ნიმუშად ჯავახეთის სახლ-ოჯახობის გამგებლობის მაგალითს:

1882 წ. სოფ. ხიზაბავრაში ცხოვრობდა კიდევ ჯახმაკი 70 წლის მოხუცი, ველიჯანათ (ხონხელთ) პეტეი. მოხუცი პეტე მართავდა ოჯახში 47 სულის ბედ-ილბალსა. ამას ორი ძმაც ჰყავდა: ატო 67 წლისა, და აკო 62 წლისა. ცოლ-შვილი სამთავ ჰყავდათ. პეტეს 3 ვაჟი ჰყავდა, მათში ორი დაცოლშვილებული 8 სულიც ისინი. აქ ამათი შვილიშვილები არ გვაქს ჯერ ამის ანგარიში. აკოს 5 ვაჟი 3 დაცოლშვილებული. — 10 სული. ასე სამი ძმის ცოლ-შვილს რძლებიან შეადშეადგენს 8 ს.+10 ს.=26 სულს. ამ ოჯახიდან 3 ქალიშვილიც გათხოვილი ჰყავდათ.

საქართველოს სიძველენი.

რომლის ანგარიში არ შედის აქ. 21 ყმაწვილიც ამ უფროსი ძმათა შვილებსა ჰყავდათ, ე. ი. 7 ოლლიანსა შეადგენს 26 ს. + 21 ს. = 47 სული.

აქ, ისიც უნდა გავიხსენო, რომ ამ ოჯახობაში 5 აკვანი ედგათ. ესენი რადგან ერთს სახლში ვერ მოთავსდებოდნენ, სიმრავლის გამო, ამიტომაც სამს (ერთი მეორის ახლო) შენობაში იდგენ თვითერული ძმა თავის ჩამომავალი რაიონითა თითო სახლში. ხოლო სმა-ჭამაში ერთათ იყვნენ. წვეულობა (თუ ქორწილი) გეგონებოდა.

ქალები ცალკე და კაცები თავისთვის, ჯგუფად დასხდებოდნენ, რომელთაც წინ დიდრონი ფეშხუმები და ზოგს კი ტაბაკი, ლასთები ედგათ სუფრათა, რაზედაც სამი ფუთი პური მაინც უნდა დაეწყოთ, და 12 — 15 დიდრონი ჯამი სათვითეთ კოვზებითა, რომელსაც თითოს სამი-ოთხი უტლაკუნებდა კოვზით თვითეულს ჯამს და სჭამდნენ შეჭამანდსა, ისიც დაგირჩებათ უმნიშვნელო, იმათი ორყურიანი უშველებელი ქვაბი, რაშიაც 47 სულის შეჭამავდის მოდუღებას კისრულობდა ხოლმე ყოველ დღე.

გასაკვირველი აქ კიდევ ის არის, რომ ამოდენა ხიზანში ერთ მეორის წყენა ძმებ შორის, თუ რომლებ შორის იშვიათი იყო. ყველა ესენი, უფროსი მოხუცი პეტეს, რიხის ქვეშ იმვრფებოდენ. ყველა მის ბძანებას ვერ გადავიდოდენ, ვერც ქალნი და ვერც კაცნი ყმაწვილებითურთ.

პეტეს მიენდებოდა, გარდა იმისა რომ მის ბძანებას ქვეშ ყოფილიყო 74 სულის გარემოება, მთელი ოჯახის შინაურ-გარეული მართველობაც. მაგ: მიცემა საერთო, ხარჯების გაცემა და ვალების აკრება. საყიდელი რამ ოჯახისთვის, ნავთი, საპონი და სხ. ფარჩა, რის ცნობას აკო და ატო თავიანთ ნაყარს რაიონებში გაიგებდნენ თავათ პეტეც თავისაში! იკითხებდნენ რძლებში, ბავშვები თუ ვის რა სამოსი აკლდა და ამ ცნობებით რა გაიგებდა უფ. მმართველი პეტე, ისიც იმ დაგვარ იყიდდა ალიბეზს თუ სამოსელსა და სხ. და ამ გვარათ საერთო მმართველებს უწევდა ოჯახსა.

ატოს მიენდობოდა ყანა, ჭალის თუ ბაღ-ვენახის მოვლა: ამის ხელში იყო, ყოველი მუშა ხარებითურთ და იარაღითა, საჭიროებაში გაეგზანა სადაც მოთხოვნილება იქნებოდა.

აკოს კი თხა, ცხვარი და (ძროხა) საზო-

ვალოდ, საქონელის მოვლა მინდობილი ჰქონდა. ამის საქმე იყო მეცხვრეთ, ვინ და საით გაეგზავნა. დაეპარსა თხა-ცხვარი. გაეყიდა თუ ეყიდა ესენი და სხ.

როგორც ატო და აკო თავიანთ ხვედრს საქმის ანგარიშებს პეტეს გადასცემდნენ, რომ მასაც სცოდნოდა საერთო ოჯახში მომხდარი ცვლილებები. და თუ უფროსი პეტე შენიშნავდა რაიმე ნაკლს გაუსწორებდა ამათ და ისინიც ვალდებული იყვნენ დამორჩილებოდენ უფროს ძმასა, და თვითონ კი უნდა დაემორჩილებინათ თავიანთ ხელქვეითნი წესით ერების შეურყევლობისათვის.

უფროსი მმართველი პეტეს ცოლი მიენდობოდა ყოველივე საჭმელ-სასმელის მარანი, ერო, ყველი, ფქვილი და მისთანობა იყო ოჯახში, რასაც გამოზოგებით ახმარდა მის ოჯახს.

ატოს ცოლს მიენდობოდა, მხოლოდ პურის ცხობა თონეში. ეს ადამიანი კვირაში ერთხელ ანთებდა თონეს, ზელდა, რძლების მოხმარებით, ორ ჯამს ფქვილსა. ამოდენა პურს სულ ის ადამიანი აკრავდა გახურებულ თონეში და ამოჰყრიდა ხოლმე, რომელსაც მთელი სახე პირი დამწვარი ჰქონდა და წურწულით გადმოსდიოდა ოფლი გათენებიდან ვახშმობამდინ. აკოს ცოლს მიენდობოდა მთელი თხა-ცხვრის და ძროხების წველა და ნაწლი რძის დამუშავება ერბო-ყველად; ამისავე ხელი იყო მატყლ-ბანალის შენახვა და საპიროებაში და მუშავება მისი ქათამ-ბატის კრუხად დაჯდენა და გამოჩეკილების გაზდაც სულ ამის საქე იყო. ქონება ამათი ველიჯანათ პეტეს 20 დესეტ. სახნავ-სათესი მიწა ჰქონდა. 2 დესეტინა ვენახი მტკვრის ხეობაში, 13 სახლი, 300 სული თხა-ცხვარ, 10 — 13 ძროხა, 2 — 3 ცხენი, 3 — 4 ვირი, 4 — 5 ძაღლი, 3 კატა და 200 ფთაზე მეტი ქათამ-ბატი, 7 — 8. 9 ხმო-ხარი, 6 ულელი გამოზამთრული 7 — 8.

ჯავახთა ნაწარმოებს შეადგენს: პური (საიდანაც (დოკა, დოლი, ჰვავი), ქერი, სელი (საიდანაც ზეთსა ხდიან) ოტკა (პურისას ჰხდიან), ერბო, ყველი, მატყლი, ბალანი, თაფლი, სანთელ, ხურხალიბი, სახოხე შალი, წინდა, პაიჭი, ხურჯინი, ჰაგიხვე, ზეთი, კვერცხი, შინაური ფრინველი და საქონელი, კალმახი, წურბელიც სხვა.

მოჭარბებულს ადგილობრივვე ჰყიდიან ჯავახნი ფულზე, ან სცვლიან საჭირო საქონელზედ. ხოლო, კვერცხი, ნაქსოვი, წურბელი და ფეხმახვილი საქონელი გააქვთ ადგილობრივ ვაჭრებს დასავლეთ საქართველოში.

ჯავახელების ვაჭრობა დღითი დღე წინ მიდის და სწრაფად ძლიერდება ალებ-მიცემლობა ცვლაზედ მოქმედობს მაგ., შეტანილ ცოცხს ქერზედ სცვლიან და ამას კი სხვაზედ, გარეთ გატანილს ნაწამოებს კი ფულზედ ასაღებენ.

ჯავახელები სცხოვრობენ ჯგუფად და არა დაფანტვით, როგორც დასავ. საქართველოში; სახლებს იკეთებენ ქვა-ტალახისას მიწაში. მათი სახლები დაყოფილია რამდენიმე თვლათ. ახორი და ოდა ერთ თვალშია მოთავსებული, რომელიც გადამკედლილი აქვთ კაცის სიმაღლეზედ ან ძელებით, ან ფიცრით (კაცის სიმაღლეზედ) ზევით კი გაერთიანებულია სადგომი და ახორი.

ახორში დაბმული ჰყავთ (ბაგეებზედ) ძროხა და ხარ-კამეჩი (20 სულიდან 40 სულამდე). ხოლო ოდაში თვითონ ხიზანი ცხოვრობს. ასე, ადამიანი და საქონელი ერთ თვალ ოთახში ცხოვრობენ და ადვილი წარმოსადგენიცაა თუ რა უარესი სუნი, სიბინძურე იუფლებს იმათ სადგომში.

ჯავახის ოდა ასეა მოწყობილი: კარიდან პირდაპირ ბუხარია, ბუხრის პირდაპირ კი მაღლა ერდო (სანათური) აქვს ოთახს. ახორშიაც ერთი ორი (სანათური აქვს დატანებული), ბუხარს ზემოთ თარო აქვს და გვერებზედაც, აქეთ იქით, რომელზედაც ჯამები და ბოთლები მობწკარული აქვთ.

გადამკედლილ მხარეზედ გაბმულია ჩათო, სადაცა ჰკიდია ტანისამოსები და ძველ-ძველი საცვალი; იქვე ჰრელი ან თეთრი ქალებისა. კიდობანია რაშიაც თავის ნამზითვი და ტანისამოსი აქვს მოთავსებული. იქვე, კარებთან აკეცილი აქვთ ძირიდგან თავამდი, ლოგინები და ზევიდან ჰილობები, ფიჩვები აქვთ დაკეცილი. ოთახი სრულიათ მომიწნულია.

(გასაგრძობი)

რედაქტორ-გამომ. მ. პ. დ. მულაშოვი-პაწაძე.

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა)
ნიკ-ლოთბის ქუჩა, სახლი მიღოვისა № 6.